**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანის ასოების სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური



## არწრუნის თეატრი

ქართული წარმოდგენების დაწყება.

**კვირას 26 სეკტემბერს**

ქართული დრამატიული დასისაგან იქნება წარმოდგენილი

**I**

პირველად

## დედა და შვილი

მაზოდი დავით-აღმაშენებლის დრო-იდგან, ერთ სურათში,

ლექსად თ. ილ. ჭავჭავაძისა.

**II**

პირველად

ბ. ღოღობერიძის დებიუტი

**ფერი-ფერს, მადლი ღმერთს**

კომედია 3 მოქმედ. ალ. ჭიჭინაძისა.

დასაწყისი 8 საათზედ.


## ტელეგრამმა

(„სალხოთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი, 23 სექტემბერს.** „მოსკოვის გაზეთს" ხელ-მეორედ მიეცა ცალკე ნომრების გაყიდვის უფლება.

ამბობენ, რომ გაზ. „რუსსკი ვეჟომოსტი" ნაფიც ვექილის შუბინსკის ხელში გადადის.

მანუფაქტურის დეპარტამენტში შესდგება ცალკე კომისია, რომელმანც უნდა მონახოს საშუალება კანდრაბანდის მოსასპობელად.

## ჩვენი ადვოკატებისათვის

ტფილისი, 24 სეკტემბერს.

ჩვენს მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინათ ერთმა ინჟინერმა, სვეტნიცკიმ რომელსაც, სხვათა შორის, კუკუევის მახლობლად რომ რკინის გზაზედ ხალხი დაიღუპა, ამაში ბრალს სდებდნენ, მალულად, მხეცივით დაეცა გაზ. „რუსკი კურიერის" რედაქტორს ბ. ლანინს და რკინის ჯოხით სცემა.

გაზეთებში იყო მაშინ გამოცხადებული, რომ ასე მხეცურად შეურაცხყოფილის ლანინის ადვოკატობა გამოჩენილმა მოსკოვის ადვოკატმა ბ. პლევაკომ იკისრაო.

თითქმის ამავე დროს გაზეთს „ნედელიაში" დაბეჭდილი იყო პატარა შენიშნვა, რომ იგივე ადვოკატი პლევაკო იცავს ერთს სვეტნიცკის საქმეს; ცოლის ფულები 49,000 მან. ჰქონია ამოსაგები ამ სვეტნიცკის და ეს საქმე პლევაკოს უკისრნიაო. გასაკვირველიაო, ერთსა და იმავე დროს პლევაკომ როგორ იკისრა ერთი და იგივე კაცის გამტყუვნებაც და დაცვაო. მით უფრო გვაოცებს ეს პლევაკოს მხრით, რომ ორივე ეს საქმეები ისეთი თვისებისანი არიან, რომ სვეტნიცკის ზნეობით მხარეს შეეხებაო; ერთს საქმეში ადვოკატმა უნდა აქოს და ადიდოს იმის ზნეობითი თვისებანი და მეორეში კი აძაგოსო.

ამ შენიშნვის თაობაზედ ადვოკატმა პლევაკომ დაბეჭდა გაზ. „რუსკი კურიერში" შემდეგი წერილი:

„როდესაც მე წავიკითხე გაზეთებში ის შემაძრწუნებელი საქმე, რომელიც „რუსკი კურიერის" რედაქტორს ბ. ლანინს შეემთხვა, იმ წამსვე წაველი ბ. ლანინთან და გამოუცხადე, რომ მე მზათა ვარ დავიცვა ის სასამართლოში.

„შინ რო დავბრუნდი, ჩემმა თანაშემწეებმა მაცნობეს, რომ ბ. სვეტნიცკი ადრევე ყოფილა ჩემს კანტორაში და მოუნდვია ჩვენთვის მისი მიცვალებული ცოლის ფულის 49,000 მან. ამოგება.

„შევიტყე თუ არა ეს გარემოება, იმ წამსვე მივწერე ბ. სვეტნიცკის, რომ მე იმის საქმის კისრად აღება აღარ შემიძლიან; ესვე გარემოება ვაცნობე სასამართლოსაც."

ესე იყო ამ საქმის გარემოება. ადვოკატმა უარი განაცხადა უკანასკნელი რომ ვსთქვათ ხუთასი თუმნის მიღებაზედ და იკისრა ისეთი საქმე, რომლისაგან ის გროშსაც არ მოელოდა. და ეს ჩაიდინა იმიტომ, რომ ჰსურდა უპატიოსნო კაცისაგან ფულის აღება და საუკეთესოდ დაინახა მუქთად პატიოსანი კაცისა და პატიოსანი საქმის დაცვა.

რასაკვირველია, ეს მაინცა-და-მაინც დიდი და შესანიშნავი არა არის რა. კაცმა რომ იმდენი უანგარობა გამოიჩინოს, რომ საზიზღარ კაცისაგან გამოსულს ფულს ხელი არ მოჰკიდოს და პატიოსანი საქმე უსასყიდლოდ აწარმოვოს სასამართლოში,—ეს გასაოცებელი მოვლენა არ არის. მაგრამ ჩვენ ისეთს დროებაში ვცხოვრებთ, ახლანდელი ადამიანი ისეთი ანგარია, ისეთი ვერცხლის—მოყვარე, ისეთი დაუზოგველი ყველა საშუალებისა, ოღონდ ფული კი ჩაიგდოს ხელში—რომ ამ გვარი შემთხვევაც საყურადღებოდ და სამაგალითოდ მიგვაჩნია. ჩვენებური ადვოკატების განსაკუთრებითი ყურადღება მიგვიქცევია ამ საქმისთვის, ჩვენებური ადვოკატებისა, რომელთაც ფული ღმერთად შეუქმნიათ და სინიდისი საცვალპერანგათ, რომელნიც, ოღონდ ფული აიღონ და მზათ არიან ხელ-ახლად ბატონ-ყმობა გააჩინონ ჩვენში, რომელთაც სინიდისი ნებას აძლევს, სულ იმავე ფულისათვის, ორასი საწყალი გლეხი ულუკმა-პუროდ დააგდონ და ერთს შესძინონ. ვიმეორებთ, ამისთანა დროში და ამისთანა ხალხისათვის ზემო-მოყვანილი მაგალითიც საგულისხმოა და წასაბაძავი.

## დღიური

ეს რამდენიმე დღეა, დილის 4 საათზე ჩვენს ქალაქშიაც მოჩანს კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაც გრძელი ბრწყინვალე კუდი აქვს.

* * *

„დროების" ფელეტონი, 25 სექტემბ.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

მესამე ნაწილი

სოფელს არწიაში, ფარჩოს სახლობამ მიიღო იაგო და მისი ძმად ნაფიცი კობა, როგორც ნამდვილი ამ სახლის შვილი და ყოველის ღონის-ძიებით ცდილობდნენ იმათი სურვილის აღსრულებას.

მქიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს, ამტკიცებდა, რომ რამდენსამე დღეზედ ფეხზედ წამოაყენებდა ავადმყოფს და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს, რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა ბიძგოლაზედ, რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში, გახადა კაცს ნაკლავად, წაართვა საცოლე და მოაშორა სამშობლოს.

აქ იმოდენი საბუთები იყო გამხნევების სურვილის აღსაძვრელად, რომ არამც თუ თავ-მოყვარე მთის კაცი, რაინდულის შეხედულებით და ხასიათით, რომელსაც ცხოვრების მიზნათა აქვს გამხდარი: „სიკვდილი სახელოვანი, სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა", არამედ დამშვიდებულს კაცსაც-კი გონებას დააკარგვინებდა და მოთმინებიდგან გამოიყვანდა.

ასე მიდიოდა დღეები და კობა განუშორებლივ გვერდს ჰყვანდა ძმად ნაფიცს. ყოველთვისინ, რა მარტონი დარჩებოდნენ, მოჰყვებოდნენ ლაპარაკს თავიანთ მდგომარეობაზედ, მოაგონდებოდათ თავიანთი სამშობლო, იქაური ღრუბელი და იმის დანახვის სურვილი ლევდა.

ამ გვარი ღამეები გათავდებოდა გულის ამღულებს ფანდურის ხმით, რომელსაც ისე მშვენივრად უკრავდა კობა და გმირულს ლექსებს, ნახევარ ხმად დაზძახოდა.

ამ გვარი ფანდურის ხმა, რომელიც თითქოს აღელვებს ავადმყოფს, ამასთანვე ერთად აშვიდებს, თუ ასიამოვნებს, ავიწყებს წუხილს, სატკივარს, ჰრილობას და მკურნალი ძილი უხუჭავს დასუსტებულს თვალებს, რომელიც ისე მკურნალად მოქმედებს. მხოლოდ იმას შეუძლიან ამ დაძახილის ღირსეულად დაფასება, ვინც ავადა ყოფილა და გაუგონია ეს ხმა, უგრძვნია თავის თავზედ ის ნეტარების და უკვდავების ნექტარი, რომელსაც ეს ხმა თითქოს წვეთ-წვეთად უსხამს ავადმყოფს სხეულს და აგებულებაში.

გაიარა კარგა ხანმა, იაგო დადგა მოკეთებაზედ, მოუვიდა მადა, ძილი და თუმცა ჯერ კიდევ სუსტათ იყო, მაგრამ დერეფანზედ გამოსვლა, წმინდა ჰაერზედ-კი თავისუფლად შეიძლო.

— იაგო, ერთს ამისთანა დღეს უთხრა კობამ.—მთაჩი წავალ ნადირობ.

— ბედშავო, ჩემო თაო! შინ ჯდომა მოგწყინდა განა? დაღონებით უპასუხა იაგომ.

— შენთან რაი მომაწყენდა, რად მეუბნები მაგას?

— აბა რაი გულის გადასაყოლია, სულ ავადმყოფთან ყოფნა?.. წადი, წადი—თვალს გაახელ.

— წავალ, ეგების ჩვენებური მონადირე ვინმე შემხვდეს, შინაობისას გავიგებდი რასმე?

— შენ იცი, უპასუხა იაგომ და პირი მოარიდა, რათა ამხანაგს სიწითლე არ შეემჩნივა.

იმას მოაგონდა ნუნუ და დიდი ხანი იყო, რაც უნდოდა ეთხოვა კობასთვის, რომ იმის ამბავი შეეტყო, მაგრამ რცხვენოდა და ვერ გაებედნა.

— ეხლა, წმინდის გივარგის მადლით, შენც აღარა გიჭირს-რა... ბატარაი კიდევ და ზეზეც წამოდგები. მარტოობა თუ არ მოგწყინდების?

— რაისთვი? არა, არა! საჩქაროდ შეიძახა იაგომ, რომელსაც შეეშინდა, რომ კობას არ გადაევგუნება მთაში წასვლა და კიდევ მეტად და სატანჯად არ დაშორებოდა ნუნუს ამბის შეტყობა.

— წადი, გაიარე, იქნება მართლა ნახო ვინმე. დაუმატა უფრო დამშვიდებით დაჭრილმა მოხევემ.

კობა მოემზადა, გამოესალმა ყველას და გასწია ხდეს სანადიროთ და უფრო-კი ნუნუს ამბის შესატყობად.

ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო

*) იხ. „დროება", № 197.

ფოთიდამ გვწერენ:

„ზაფხულში მტვერმა გაგვიჭირვა საქმე ახლა დადგა შემოდგომა—ილაჯი წაილო წვიმებმა და ტალახებმა მადლობა ღმერთსა ერთი უმთავრესი ქუჩა მაინც გვიკეთდება, ამ ორს სამს დღეში მზად იქნება.

„ჩვენი ქუჩების მომვლელს და გამსუფთავებელს ღორებს ძალიან ხელი შეუწყეს პოლიციის დესეტნიკებმა: აგერ ორი თვე იქნება, რაც ღორების დახოცვა დაიწყეს. მაგრამ საკვირველია, რომ სხვის ღორებს კი ხოცენ ბატონი დესეტნიკები და თავიანთს ღორს კი ასუქებენ პოლიციის ეზოში დახოცილის ღორების წველებითა... ღორების დასახოცათ სრულებით არავითარი იარაღი არა აქვსთ; რომ დაინახვენ ღორს, იშიშვლებენ დესეტნიკები ხმლებს, ზოგიც კეტებს და ამ ნაირათ შეუბრალებლივ და ტანჯვით ხოცვენ; გუშინ დაესივნენ ერთს ღორს ორგან თუ სამგან ხმლით დასჭრეს ფაშვეზ გამოყრილი დარბოდა პოლიციის ეზოში. როგორც ამ საქმეზედ არიან მუყაითათ ჩვენი პოლიციელები, არც ერთს სხვა თავიანთს ვალდებულობის აღსრულებაში არ არიან ისე. რასაკვირველია, მუყაითათ იქნებიან: თან ნადირობენ, დროებას ატარებენ და თან საკმაო ფულებსაც იღებენ, რადგან დახოცილს ღორებს ჰყიდიან. ურიგო არ იქნებოდა მოკლული ღორები მაინც ღარიბს პატრონებს დაუბრუნდეს."

* * *

„შრომაში" იწერებიან:

„ერთი ახირებული ამბავი შევიტყვეთ, რომელიც ერთობ საყურადღებოდ მიგვაჩნია და ამის გამო ვაცხადებთ. ბატ. ჭოლოშვილს, რომლის სისხლიც ამას წინად დაიქცა, საჩივარი შეუტანია სამსაჯულოში და ზარალს ეძიებს ქალაქის გამგეობისგან. ამბობს თურმე, რომ ჩემი სახლი მართალია ცუდათ ნაშენი იყო, პლანსაც არ ეთანხმებოდაო, მაგრამ იმ სახლის დანგრევაში დამნაშავედ ჩემს თავს არა ვსცნობო. ქალაქის გამგეობა პირ-და-პირ ვალდებულება იყო, რომ შენებაზედ ყურადღება ჰქონოდა მიქცეული, თავმდგურად არხიტექტორიც დაეყენებიაო და მაშინ სახლი რიგიანად აშენდებოდა და არც დაქცეოდაო. რადგანაც ქალაქის გამგეობა ასე არ მოქცეულა, ზარალი უნდა მიზღოსო.

„ჭეშმარიტად დიდი კადნიერება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ დანაშაულობა ასე გადიძვრინოს თავიდგან და ამ დანაშაულობისგან წარმომდგარი ზარალიც სხვისაგან ეძიოს. ამ გვარი საჩივარი იმდენად მავნებელი არ არის, რამდენადაც მრთელის საზოგადოების შეურაცხმყოფელი. მაგრამ, მართალი რომ სთქვას კაცმა ეს საქმე ჩვენი საზოგადოების მდგომარეობასაც გვიჩვენებს: განა შესაძლებელია ამ გვარი საქმე სხვაგან, სადაც საზოგადოება ზნეობით ჩვენზედ უფრო მაღლა სდგას? ვინ გაბედავს სხვაგან ამისთანა საქმის გამოწყებას? მაგრამ ბატ. ჭოლოშვილი, რომლის წყალობითაც რამდენიმე კაცმა სიცოცხლე და ჯანმრთელობა შესწირა, იქნება საქმეს ბანზედ აგდებით გვეხუმრებოდეს და ეს ხომ საზოგადოების სასაცილოდ აგდება იქნება!"

* * *

ამავე გაზეთში ვკითხულობთ:

„ეს სამი კვირა იქნება, რაც ახლად გაკეთებულს ბაქოს რკინის გზაზედ საქონლის გადატან-გადმოტანა გაიმართა. ამ დროს განმავლობაში ამ გზით მიუტანიათ ფოთში, როგორც ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს ოთხმოცი ათას ფუთამდის ნავთი, რომელიც ცეცხლის გემებზედ გადააქვთ და სხვაგან აგზავნიანო.

* * *

ამ დღეებში გამოვიდა „ივერიის" მე-IX (ენკენისთვის) წიგნი, რომლის შინაარს შეადგენს:

**ბედ უკუღმართი ჯალაბობა** (ამბავი სოფლის ცხოვრებიდამ)—ალ. მირიანაშვილისა, **ისტორიული სურათები** (გაგრძ.) მ. დიმ. ჯანაშვილისა; **ციხე შიგნიდამ გატეხილი** (გაგრძ.) **წასქვილი** (ლექსი)—თ. რაფ. ერისთავისა; **წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ** (დასასრული)—გ. მაიაშვილისა; **გუთანი** (ლექსი)—თ. რაფ. ერისთვისა; **ჭმუნვა** (ლექსი)—ი. ბაქრაძისა; **პოლიტიკური მიმოხილვა, შინაური მიმოხილვა; განცხადებანი.**

—

**შენიშვნა:** „დროების" მე 200 №-ში ბ. უნგაძის სტატიის შესახებ შეპარულა კორრექტურული შეცდომანი რომელიც აზრს სრულიად არღვევს და ამისთვის ვასწორებთ.

1 ფურ. სვეტი 4. სტრ. 3 ქვეიდგან „ამ ჯერული ღვთის დიდებისას".

ამ ჩვეულებრივი ღვთის დიდებას.

სწერია, გვერდი 2. სვეტ. 1. სტრიქ. 13 ზევიდგან: „ქრისტიანი მთიულებისა და მთიულებისაგან..."

წაიკითხეთ: ქრისტიანის მთიელებისა და მთიულებისაგან. იქვე 16 სტრიქო. ქვეიდგან: სწერია... „რომელიმე **სარო**" წაიკითხეთ: რომელიმე **საერო**.

იქვე სვეტი 2-რე, ს. 1-ლი „მეზობლების შეიქნებიან," წაიკითხეთ მეზობლების შემწენი შეიქნებიან.

იქვე სტრიქ. მე 14 ზევიდ. სწერია: „აგრეთვე ლაშარის წმინდა გიორგის, არამედ"... წაიკითხეთ: „აგრეთვე ლაშარის წმინდა გიორგი არ ნიშნავს შარიანს წმინდა გიორგის, არამედ ლაშარა ადგილსა ჰქვიან.

## საქართველოს ისტორიის მასალა და სურათები

### აჯანყება საქართველოში 1802 წელს

ტუჩკოვს დუშეთში ახლდა 60 დარაჯი და 50-ოდე ყაზახები, რომლის უმეტესი ნაწილი ტფილისიდამ ჩამოვიდა; ისინი თითქოს ყველანი, ბატონიშვილის ტყეში ძებნის გამო, ძალიან დაქანცულნი იყვნენ. მაგრამ ტუჩკოვი იმათ მდგომარეობაში აღარ შევიდა და რამდენიმე კაცი მაინც ამოარჩია და უბრძანა მათ, რომ თუ არ შეგეძლებათ იმ კაცების დაჭერა, რომლებიც წელან რაღაცას გაჰკიოდენ, იმ შემთხვევაში იმას მაინც ეცადეთ, რომ სოფლებში არ შეუშვათო. თვითონ კი ყოველი ღონისძიება იხმარა: გაგზავნა ერთი აფიცერი და უბძანა, საჩქაროდ დარაჯი თოფ-იარაღით ჩამოიყვანე დუშეთშიო.

ზემოხსენებული, მყვირალა კაცები რუსებს ხელიდამ გაუძვრნენ; დარჩა მხოლოდ ერთი თიურეთის მოურავი ქობაშვილი, რომელიც ერთ ყაზახის ტყეში შეეჩხირა და თავის ნებაყოფლობით, როგორც ტყვე, ტუჩკოვს წარუდგინეს. ედლოფალი—მეთევანი კი ვერ დაკმაყოფილდა და ვერ გაძლო იმ გესლიანი სიტყვებით, რომლებიც ტუჩკოვს უძღვნა: უეცრივ გამოვარდა ციხიდამ და რაც ძალი და ღონე ქონდა, ყვიროდა და არწმუნებდა ხალხს, რომ ისინი აჯანყებულიყვნენ და აეღოთ ხელში თოფ-იარაღი მამულის და ვახტანგ-ბატონიშვილის დასაცვე-

---

და მზე უკანასკნელს სხივებს ესროდა მთის წვერებს, როდესაც იმან მიაღწივა ხდის „ჩხატს" (ჩანჩქარს), რომელიც თეთრს რძეთ გადაქცეულიყო და ვარდებოდა აუარებელის სიმაღლიდგან; ღრიალებდა, ქაფდებოდა, იმქრეოდა წვრილს ნამად, რომელშიაც ბრჭყვინავდა, ელვარებდა და თამაშობდა მზის სხივი, შეხამებული ათას გვარ ნაზს ფერადთ, რომელიც ორ-სამს ალაგას ვროვდებოდა და ცისარტყელის მზგავსად იდგა.

შევმოდ რგვლად შემორტყმული მშვენიერი მწვანე ტყე, იმის იქით მეორე მთის მხრიდგან ჩამონადენი წვრილი შავი ქვიშა, ერთკენ მხარეზედაც პატარა გორაკი, რომელიც თავდებოდა რგვალის ზურმუხტოვანის, შემკულის ათასის ფერის სურნელიანის ყვავილებით მინდვრით. იქვე აუარებელი „ხახამა", მარწყვი და „შავიხილი", რომლის სიმსხოც და გემოც გაგაოცებდათ. ცოტა ტყის იქიდგან ფიწალო, ჩამოლესილი კლდეები, რომლის წვერებიც ისე უსწორმასწოროთ ამართულიყვნენ და იკარგებოდნენ ცის სივრცეში.

ხდის ხეობის, ერთკენ მხარეს მივიდა ქობა და დაყრდომილი თავის თოფზედ, გაჰყურებდა ამ მიმზიდველს სურათს, სადაც ნაზი ფერი და მდებარება არეოდა გარეგნულს ამაყს და მკაცრს ბუნებას და ისეთის ვარმონიით შეხამებულიყო.

დიდი ხანი იყო, რაც ქობას ამ გვარი სურათები აღარ ენახა და მთი უფრო ტკბილი იყო, რომ მისი შეჩვეული ბუნება ითხოვდა ამ გვარს გართობას, თვალისა და გრძნობის დატკბობას.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც მეორე მხარეს კლდის კინწრიხოზედ ამაყად გადმოდგა „ხარი ჯიხვი", ვეებერთელა მოხრილის რქებით, თითქმის ნახევრად გადმოიზნიქა კლდეზედ და გახურებული შუბლი მიუშვირა ნიავს. ის იდგა ამაყად, უშიშრად, ჰგრძნობდა რომ თავის სამფლობელოში იყო.

მართლა თავ-დამავიწყებელს სურათს წარმოადგენდა ეს ჯიხვი გადმოზნექილი მაღალ ფლატოზედ, თითქოს ქვიდგან გამოჭრილი და შეერთებული ამ კლდეს, რომლის რქებიც დაფერილი უკანასკნელი მზის სხივით, ისე აშკარად იხატებოდა ცის კიდურზედ. ის იდგა ისე გაუნძრევლად და ქობასაც ეშინოდა განძრევა, რათა ხმაურობით არ დაერღვია სიამოვნება ამ ლაზათით სავსე პირუტყვისთვის.

ერთბაშად მოისმა შტვენის მიმომგზავსი ფრუტუნი და ნადირი ერბაშად წატრიალდა. ქობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალაღებული ხარი, როგორც იდგა კლდის წვერზედ. ის მოდიოდა მეორე ჯიხვისკენ წყნარად, დარწმუნებული თავის უპირატესობაში და თავის ქნევით, თითქოს მუქარის თხოვდა. იმის იქიდგან გამოჩნდნენ რამდენიმე თხა*) და წალი*), რომლებიც შეზდგნენ და დაუწყეს ყურება ამ ორს მეტოქე ხარს, რომელთაც უეჭველია თავის გამოჩენა უნდოდათ ნაზიქმნილების წინაშე. კლდეზედ მყოფი ხარ-ლაღიც წამოუბრუნდა, დაიფრუტუნა და წყნარისავე სიარულით, თავის ქნევით გასწივა მომავალისკენ. როდესაც ისინი მიახლოვდნენ ერთმანეთს რამდენიმე ნაბიჯზედ, შეზდგნენ, დაუწყეს ერთმანერთს მრისხანედ ყურება და ფეხებით მიწას ცემა. როგორც ეტყობოდა ისინი რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანერთს, არა სთანხმდებოდნენ და

რა ვერ დაჰყაბულდნენ ერთმანერთს გაექანნენ რქებით დაეჯახნენ, ამის შემდეგ ისენი აწვებოდნენ ერთმანერთს რამდენიმე ხანი ისე ძრიელად, რომ გატენილი ძარღვები ლამის ასკდებოდათ მაგრამ ვერც ერთმა ვერ დასძალა, ვერ დაახევინა უკან.

ბოლოს ისინი გაშორდნენ ერთმანერთს, ერთი მათგანი წავიდა ხტუნაობით, მივიდა ზედ კლდის პირზედ, გამობრუნდა გაიბოწკა ფეხები, გამაგრდა და მოიღერა კისერი;—მეორე ჯიხვი-კი ზეიდგან მოექცა, შედგა უკანა ფეხებზედ, წამოვიდა ისე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეცა რქებით კლდის პირა მყოფს ჯიხვს რქებზედ. მასუკან ქვეითი გამოსცვალა ზეითმა და ეს დადგა ამავე გვარად კლდის ნაპირას და პირველი-კი შეტოდა და დაეცა. ყოველი იმათი შეტაკება, ყოველი იმათი რქების მოხვედრა ერთმანერთს, ისეთს ხმას გამოიღებდა თითქოს რამდენიმე თოფი ერთად გავარდაო. ღმერთსამც ნუ ექნა, რომ ქვეითს ეღალატნა ზეთისთვის, გამოსცლოდა იმ დროს, როდესაც მეორე მოდიოდა, თორემ იმას აღარა ისხნიდარა—რამდენიმე ასი საჟენის სიმაღლიდგან გადავარდ-

---

*) თხა დედალი ჯიხვი.

**) უშობელი ჯიხვი.

...ლად, რადგან რუსები ჩვენი მტრები არიანო.

ტუჩკოვი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა აღელვებულ და აღშფოთებულ ხალხის დასამშვიდებლად. ის სასოწარკვეთილებაში ჩავარდა: ერთის მხრით მას ეშინოდა ქართლის თავადების, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ ისინი ადვილად მიეკედლებოდენ და ერთ ხორც და სისხლათ გადაიქცეოდენ ვახტანგ-ბატონიშვილის და მისი დასის სასარგებლოდ. ამისთანა შიშ ქვეშ მყოფმა ტუჩკოვმა გამოსცა განცხადება: თუ ვინმე თანაუგრძნობს და დაეხმარება ამჯანყებულებს, იმ პირთ ოჯახებს ძლიერ მკაცრად მოვექცევითო.

ახლო-მახლო სოფლებში გაგზავნა ...რაჯი და თან გააყოლა ჯარის უფროსი კაცი; ბორშიაც გაგზავნეს წერილი, რომელსაც ბრძანებითი ხასიათი ჰქონდა, რომ იმათ თავ-და-რიგი ...ჭირათ ქართლში; დუშეთში კი ორი როტა ცხენოსანი ჯარის გაგზავნა უბრძანა.

ყველა თავის მოქმედება და ვახტანგ-ბატონიშვილის გაქცევაც ტუჩკოვმა შეატყობინა საქართველოს მთავარ-მმართველს. უკანასკნელმა, მანიფესტის ძალით, რადგან ბატონიშვილს ამისთანა ბოროტი საქმე ჩაუდენია, გამოუცხადა, რომ ყველა ადგილები, რომლებიც მის საკუთრებას შეადგენს, სახელმწიფოდ შერიცხულ იქმნებიან და ცოტა ხანში სიხარულშიაც მიიყვანა თავისი განკარგულება.

ამ დროს ტუჩკოვი გაცხარებული ...ბნიდა იმ ალაგს, სადაც ბატონიშვილი თავს იფარავდა, რადგანაც ...ელ-მხურვალედ უნდოდა მოეჭრა ...თვის ყველა გასავალი გზები. ამისთვის იმან შეჰკრიბა რამოდენიმე სანდო ქართველი კაცი, რომლებმაც ძალიან კარგად იცოდნენ ის ადგილები, საიდამაც ბატონიშვილს შეეძლო კახეთში გადასულიყო და ან სამზღვარ გარეთ დაღესტნისაკენ. თ. ერისთავებს სთხოვა ჯარისკაცების შეკრება, და ეს თხოვნა ერისთავებმაც შეასრულეს, რადგან ისინი თავ-დადებულნი იყვნენ ჩვენთვის (რუსებისთვის) და, ყოველივე ტუჩკოვის სურვილს სიხარულით ასრულებდნენ.

საჭირო იყო, რომ თავდარიგი უხმარათ მთებშიაც, რადგანაც ბატონიშვილს სწამებდნენ ფშაველების, ხევსურების და დუშელების აჯანყებას. ტუჩკოვი აქაც იმათ მოურავის ჩოლოყაშვილის საშუალებით მოქმედებდა.

ვახტანგ-ბატონიშვილს დუშეთში ერთი აზნაურთაგანი დიდათ თანაუგრძნობდა; ტუჩკოვს მოახსენეს, რომ ვითომც იმან უსათუოდ უნდა იცოდეს, სადაც ბატონიშვილი არის დაბანაკებულიო. ტუჩკოვმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, იხმო ის აზნაური და გამოჰკითხა ბატონიშვილის ვითარება. მაგრამ აზნაურმა განაცხადა, არა ვიცი-რაო. ტუჩკოვმა აზნაურს გამოუცხადა, რომ, თუ ის არ შეასრულებს მის ბრძანებას, თვითონ ის და მისი ოჯახობა მკაცრად დასჯილნი იქმნებიან. აზნაური შეშინდა და ბოლოს პავლენსკის წერილი წაიღო და კიდევაც აღუთქვა, რომ სადაც უნდა იყოს მოსძებნის ბატონიშვილს და ოც-და-ოთხი საათის განმავალობაში პასუხს მოახსენებს. მართლაც თავისი აღთქმა შეასრულა. დაბრუნდა თუ არა აზნაური ტუჩკოვმა, მაშინვე ჰკითხა:

— ბატონიშვილი სად იმყოფებაო?

აზნაურმა უპასუხა:

— ბატონიშვილი მე ვნახე 30 ვერსის იმორეზედ დუშეთიდამ, ტყეში. ამას კიდევ დაუმატა: მაგრამ ის ერთ დაიმავე ადგილას ორი საათის მეტი არ რჩებაო.

ტუჩკოვი ამ ჯერობით ამითაც დაკმაყოფილდა, რომ შეუძლია მიწერ-მოწერა გამართოს ვახტანგ ბატონიშვილთან.

ბევრჯერ წერილი მისწერა, რომლებშიაც არწმუნებდა, რომ ის ტყიდამ დაბრუნებულიყო და მასთან სანახავად მისულიყო. მაგრამ ბატონიშვილი ამისთანა წერილებს ყურსაც არ უგდებდა.

ამ მიწერ-მოწერის დროს ტუჩკოვმა დუშეთის კამენდანტისაგან ბარათი მიიღო, რომ ბატონიშვილს სასირცხოდ მიაჩნია რუსების ჯარს ხელში ჩაუვარდესო.

ერთი დოკუმენტთაგანი გვიჩვენებს, თუ როგორ ეხმარებოდა ვახტანგ ბატონიშვილს მღვდელი ალექსი. ბატონიშვილი სწერს მღვდელს:

„მამაო ალექსი! არ შედიხართ ჩემს მდგომარეობაში, რა ბედს ველოდი და რა უბედურება მეწვია! მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მე დიდათ პატივს დამდებთ და ჩემ გულისთვის შრომას იკისრებთ…“

როდესაც ტუჩკოვის დარაჯი სხვა-და-სხვა დასის და ჯურის ხალხით გაძლიერდა, მაშინვე ყაზბეგში თავადი ერისთავი გაგზავნა და თან 60-მდე ყაზახები და ქართველები გააყოლა, რომ იმათ როგორმე ბატონიშვილის განზრახვა ჩაეფუშათ, რომელიც მთიულთ აჯანყებაში მდგომარეობდა.

შეიარაღებულმა კაცებმა, რომლებიც სხვა-და-სხვა მხარეებში გაგზავნილნი იყვნენ და იმათთან თ. თარხნიშვილებმა და ერისთავებმა, ის ადგილი ნახეს, სადაც ვახტანგ ბატონიშვილი იმალებოდა.

ტუჩკოვმა დაკეტა ყველა ის გზები, საიდამაც კაცს ადვილათ შეეძლო გასვლა და თვითონ ორი როტა სალდათით წავიდა იმის საძებნელად. როცა იმის ბინას მიუახლოვდა, ბატონიშვილს კაცი გაუგზავნა ვითომ იმ განზრახვით, რომ მისი ნახვა სურს, ამასთანავე არწმუნებდა — არასფერს დაშავება და ზიანი არა სურს იმისთვის.

ვახტანგ ბატონიშვილი ცოტა არ იყოს შეშინდა, რადგან მის ოცი კაცის მეტი არ ახლდა. ბოლოს ის გამოვიდა თავის თავ-შესაფარ ადგილიდამ ყველა თავის მოსამსახურე და მახლობელი პირებით. ტუჩკოვმა, ის დიდის მოწინებით და დიდის პატივისცემით მიიღო და დუშეთამდის გამოაცილა.

ბატონიშვილმა ტუჩკოვს აუხსნა, რომ მისი ამ ნაირი მოქმედება მხოლოდ იმას მიეწერება, რომ მას არ სურდა ჯარის ხელში ჩავარდნილიყო. ამასთანავე სთხოვა, რომ მას უდარაჯოთ უყარაულოდ ტფილისში წასვლის ნება მიეცესთ. ამაზედ ტუჩკოვი დიდის კმაყოფილებით დათანხმდა მხოლოდ ცხენოსან კაცებს უბრძანა, რომ ბატონიშვილის მოგზაურობაზედ თვალი სჭეროდათ.

ტუჩკოვის ექსპედიციის დროს დუშეთში, ლაზარევმა ბულიაკოვისაგან რაპორტი მიიღო, რომელიც კახეთის თავადების აჯანყებას ამტკიცებდა; ამასთანავე ისიც მოხსენებული იყო, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ემზადება ჯარით მივიდეს ალაზნიდგან შუაგულ ქართლში.

პოდპოლკოვნიკმა სოლენიუსმა ლაზარევს მისწერა, რომ კახეთის მო-

---

...ის სული აღარ ჩაჰყვებოდა ხევამდინ, ...რომ დარწმუნებული ქვეითის ულა...ობას მოდიოდა ეს შნოებით სავსე ...ტყვი და მხოლოდ იმაზედა ჰფიქრობდა, რომ რამდენათაც შეიძლე...და ძალზედ დაეკრა.

...ლები და თხები-კი, თავიანთის ...ურის სიმკვირცხლით, დახტოდ... იმათ ახლოს, თითქოს ამით უნ...ათ მეტად წაექეზებინათ მებრ...ნი, რომლების ქცევაც ასე მოს...დათ.

...ობა უყურებდა გატაცებით, გამ...ებით და შენატროდა ამ პირუტყვთ ...ს და ჩვეულებას, რომელსაც ერთი ...ზედ გამოჰყავდა და ერთს ერთან ...ოლებდა.

...ორეთ იმ დროს, როდესაც ერ... ჯიხვი გამაგრდა და მეორე ჯიხვი ...მოუშვა ზედ დასაცემათ, გავარ...ოფი და გადაატრიალა ქვევით ...ამნი ჯიხვი; მეორე ჯიხვმაც ვე... შეიმაგრა თავი და ორივე გადა...ნენ კლდეზედ. ვილაცის უხი...მა ხელმა მოუღო ბოლო იმათ ...ლას და ეს ვილაც წამოდგა, მო...ქუდი და გაიქცა კლდისაკენ ...ც გადაცვივდნენ ჯიხვები. იმან და... ჩახოცილი ნადირები, რომელიც წუთს წინათ ისეთს სიცოცხლით სავსე ბრძოლაში იყვნენ.

კობამ უსიამოვნოთ გახედა მონადირეს, რომელმაც ისე უწყალოდ და შეუბრალებლად მოუსპო სიცოცხლე ამ პატიოსან პირუტყვებს და არ დააცალა გამარჯვებით სიამოვნება.

მთის ჩვეულებით, ამ გვარად შეხვედრილი მონადირეები მოვალენი არიან უეჭველად გაიყონ ნანადირევი და ამისთვის კობამ გასწია ქვევით საითკენაც უცნობი მონადირეც თავის მხრიდგან ჩარბოდა. ცოტა კიდევ გაიარა და დასძახა კობამ:

— კვლავ უფრო, კვლავ უფრო! შემოღებული მილოცვა მთის მონადირეთ შორის.

კაცი შეზდგა, შემოხედა და მადლი გადიხადა, წარმოდგინეთ ორთავეს სიხარული, როდესაც იმათ ერთმანერთი იცნეს.

— ჯღუნავ!.. გზა მშვიდობისა, ჯღუნავ! მიეშურებოდა კობა მონადირისკენ.

— გაგიმარჯვოს ღმერთმა, კობავ!.. საიდგან გაჩნდი აქა, საიდგან? მოუთმენლად მოელოდა პასუხს.

— აბა რაი ვიცი?! ალბად ჩემმა ბედმა და იღბალმა გადმომაგდო აქეთ.

ისინი მიესალმნენ ერთმანერთს და ამის შემდეგ პირველი იმათი კითხვა იყო იაგოზედ და ნუნუზედ.

— ღვთის მადლს იაგოსი რაი იცი? იკითხა ჯღუნამ.

— მადლი უფალს! ეხლა კარგათაა. ჯერ სულ არ მორჩენილა, მაგრამ დერეფანში-კი გამოდის…

— თუ არა დაუშავდარა?

— არა. ხელს ვერ ხმარობს ჯერა, მაგრამ დაშავებით-კი არა უნდარა.— ნუნუსი რაილა იცირა? იმის ჯავრი ლევს იაგოს.

— ბედშევი ჩემთანაა დამალული. დაიღუპნენ იმის მამის ძმანი, ერთი არ წამოექომაგა, მაგრამ იმათ რაი ენაღვლებათ, იმის მამის წილი სულ იმათ დარჩათ.

ამის შემდეგ ჯღუნამ დაწვრილებით უამბო ნუნუს თავ-გადასავალი, იმისი მდგომარეობა და მალვა ხალხისაგან. მაგასთან უანბო რა გასაჭირია ამ გვარი მალვა, რომელიც შეუძლიანთ დღეს ან ხვალ შეუტყონ და მაშინ ველარ გადაურჩება ბირგოლას.

— ქალას არა უჭირსრა, მარტო იაგოზედ ნაღვლობს. გაათავა ჯღუნამ.

— ო, ბედშავი! წარმოსთქვა კობამ.

— კარგს იზამდი, უფლის მადლმა, რომ შენ ჩამოსულიყავ, თავად გეანბო თქვენი ანბავი. უთხრა ჯღუნამ და დაუმატა:—დაჭერისი ნუ გეფიქრების, ეგრე ჩაგიყვანდა ამოგიყვან, ღვთის მადლმა, რომ ადამიანის თვალმა ვერ გაგიცადოს.

— წამოვალ, შენი ჭირიმე, წამოვალ, იმათ როგორ შეუშინდები? შენ რომ არ მენახე მაინც გუნებაში მქონდა ჩამოვსვლა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ჯღუნამ შეჰკრა ერთი ნადირი, რომელიც კობამ, როგორც უნცროსმა წამოიკიდა და მეორე ნადირი-კი გამოშიგნეს, უფეთქეს გარშემო წამალი და იქ დააგდეს, რათა კობას ამოვლაზედ წაეღო იაგოსთვის და ნადირობაში აღარ დაჰგვიანებოდა.

ისინი შეუდგნენ მთებს, ჩქარა გადაიარეს უროს მთა და გათენებისას მიაღწიევს ჯღუნას სახლს, სადაც ისე ფარულად ინახამდნენ ნუნუს.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ჯანყეებმა ილიანე ბატონიშვილთან ორი კაცი გაგზავნეს: დათია ბაცაშვილი და მამდეკა დუანიაშვილი.

რადგანაც მუხრან-ბატონის სახლობაზედ ეჭვი ჰქონდათ, დარია დედოფლის ნათესაობის გამო, ამიტომაც ლაზარევმა მთავარ-მმართველს აცნობა, რომ ამაზედ თვალ-ყური დაეჭირათ.

ბოლოს ლაზარევმა ტფილისშიდ აჯანყებულების დასამორჩილებლად განკარგულება მოახდინა, სარდალთ-მთავრებს ბრძანება გაუგზავნა; თვითონ კი დაუყოვნებლივ კახეთისკენ გაეშურა; თან თ. ალექსანდრე მაყაშვილი, თ. ლუარსაბ ორბელიანი და ბოდბის მიტროპოლიტი წაიყვანა.

ლ. ფრიდონელი.

(გაგრძელება)

# განცხადებანი

ტფილისის სამოქალაქო უპრავა საყოველთაოდ აცხადებს რომ მე 11 § ბ. ფინანსის მინისტრისაგან დამტკიცებულის დებულების ძალით 20 აპრილიდგან 1881 წ. ტფილისის სამოქალაქო საზოგადოებისაგან დაბეჭდვა 750,000 მ ობლიგაციებისა, 1 ოკტომბერს ამა 1882 წ., დილის 12-ს საათზედ სამოქალაქო კრების ზალაში მოხდება მართველობის დასწრებით ტირაჟი სამოქალაქო ობლიგაციებისა 7,900 მან. (3—3)

ექიმი რეიხი

დაბრუნდა ქალაქში.

თვალებით ავად-მყოფების

მიღება შეიძლება უწინდებრივ არსენალის ქუჩა (წმ. დავითის მახლობლად), სახლი № 17. (3—1)

მეუღლე გრიგოლ ქლდიაშვილისა ეფროსინე ქაიხოსრო ყიფიანის ასული და მაზლები ამისა კანდრატი და ვიქტორ კლდიაშვილები უმორჩილესად სთხოვენ ნათესავებს მობრძანდნენ სოფელს სვიმონეთს ორს ოკტომბერს, სადაც ექმნებათ ორმოცის ჩვეულებრივი ტირილი პირველის ქმრისა და მეორეებთ დედისა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ 3—3

საუკეთესო

## ღვინო.

მისაილოვის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ, მიკირტუმოვის სახლში გავაღე საუკეთესო კახური ღვინების სარდაფი. მაქვს პატივი შევატყობინო საზოგადოებას რომ ჩემს სარდაფში ისყიდება ნამდვილი კახური შეუღებავი ღვინოები და მაგასთან იაფად.

კახური ღვინო წითელი და თეთრი 20 კ.—1 მ. ბოთლი.

თუნგი 80 კ.—5 მ. ამას გარდა ვინც სხვა ადგილებიდან მოიწადინებს გამოწერას პირ-და-პირ ჩემგან და ბლომად ჩვეულებრივი უსტუპკა ექნება.

იაგორ სერგეის-ძე სარქისოვი

(2—)

პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოვაჭრეებთა, რომ ამ წლის 1-ის ოკტომბრიდგან მე ავიღე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ონანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კრაოტებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება უფთად.

ფასი იქმნება იმავე წესით, როგორათაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა უორხმ ზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუაეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდიის

გვარდ. ვარლამის-ძე ახნაზაროვი.

(10—5)

ისყიდება

## ჩაი

ძმათა კ. და ს. პაპოვების ნამდვილი ფირმისა გირვანქობით და ყუთებით.

ფასი გირვანქისა 1—40 მ. ვიდრე 3—მანეთამდის ათის პროცენტის დაკლებით—მანთიდაშ. არწრუნის ქარვასლაში, სიონის გვერდით ბ. ალხაზოვის კანტორაში. (6—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროვა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა.

# განცხადება

კავკასიის აკეთა მხრის რკინის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის იმ რიგით, მატარებელში კი რომელნიც მუდმივ მიდიმ-მოდიან—იგინი არ მიიღებიან.

30 სეკტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
| --- | --- |
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| | თბილისიდამ | | მცხეთიდამ |
| --- | --- | --- | --- |
| დილისა | 6 საათზე 53 მინუტზე | დილისა | საათ. 11 მინ. |
| | 8 საათზე 13 მინუტზე | | 9 საათ. 11 მინ. |
| | 10 საათზე 01 მინუტზე | | 11 საათ. 01 მინ. |
| | 11 საათზე 03 მინუტზე | შუადღისას | 12 საათ. 05 მინ. |
| შუადღისას | 12 საათზე 10 მინუტზე | | 2 საათ. 15 მინ. |
| | 1 საათზე 24 მინუტზე | | 4 საათ. 25 მინ. |
| | 3 საათზე 13 მინუტზე | | 5 საათ. 22 მინ. |
| | 6 საათზე 13 მინუტზე | ღამისა | 7 საათ. 14 მინ. |
| ღამისა | 7 საათზე 17 მინუტზე | | 8 საათ. 18 მინ. |
| | 8 საათზე 21 მინუტზე | | 9 საათ. 55 მინ. |
| | 9 საათზე 58 მინუტზე | | 11 საათ. 05 მინ. |

რომ ადრინდელივით ვიწროობა და უწესოება არ იქნას მცხეთის სტანციაში ბილეთების გაყიდვის დროს ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელათ. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ ეკსტრენნი მატარებლებით რომელნიც 30 სეკტემბერს და 1 ოკტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს ვოეზდზე იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600 მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლათდაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სანამ სხვა ვოეზდს დაამზადებენ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდის.

ის პირნი რომელნიც ისურვებენ ეკსტრენის მატარებლებით წამოსვლას 30 სეკტემბერს და 1-ლ ოკტომბერს მცხეთიდამ ტფილისში იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში. (3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Сентября 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი